

შპს “ედვანსდ აუდიტ ენდ ქონსალტინგ კომპანი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ფინანსური ანგარიშგება

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	4

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	5
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	8
5. რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	9
6. რეალიზაციის თვითღირებულება.....	9
7. დისტრიბუციის ხარჯები	9
8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	10
9. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები.....	10
10. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	11
11. ძირითადი საშუალებები	12
12. სავაჭრო და სხვა საკრედიტო ვალდებულებები	13

შპს „ედვანსდ აუდიტ ენდ ქონსალტინგ კომპანი“

ინდივიდუალური მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2024 (არააუდიტირებული)	2023 (არააუდიტირებული) გადაანგარიშებული
რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	5	3,476,599	3,166,359
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(2,707,075)	(2,401,336)
საერთო მოგება		769,524	765,023
დისტრიბუციის ხარჯები	7	(95,175)	(81,569)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(170,439)	(130,540)
ფინანსური შემოსავლები		45,388	26,131
საკურსო მოგება/(ზარალი)		3,744	485
სხვა ხარჯები		-	-
სხვა შემოსავლები		-	22
მოგება დაბეგვრამდე		553,042	579,552
მოგების გადასახადი		(36,515)	(2,229)
წლის სრული შემოსავალი		516,527	577,323

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 11 სექტემბერს:

მაია საათაშვილი
დირექტორი

5-14 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს „ედვანსდ აუდიტ ენდ ქონსალტინგ კომპანი“
ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2024 (არააუდიტირებული)	2023 (არააუდიტირებული) გადაანგარიშებული
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	9	1,220,340	937,334
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	10	213,863	171,180
ავანსები მომწოდებლებთან		760	2,375
სულ მიმდინარე აქტივები		1,434,963	1,110,889
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	11	39,233	46,324
სულ აქტივები		1,474,196	1,157,213
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა საკრედიტო ვალდებულებები	12	318,466	294,295
საბიუჯეტო ვალდებულებები		57,719	41,192
სულ მიმდინარე ვალდებულებები		376,185	335,487
სულ ვალდებულებები		376,185	335,487
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		3,000	36,281
გაუნაწილებელი მოგება		1,095,011	785,445
სულ საკუთარი კაპიტალი		1,098,011	821,726
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1,474,196	1,157,213

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 11 სექტემბერს:

5-14 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს „ედვანსდ აუდიტ ენდ ქონსალტინგ კომპანი“

ინდივიდუალური საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

(არააუდიტირებული) გადაანგარიშებული	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება / დაუფარავი ზარალი	სულ
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	30,000	220,830	250,830
საწესდებო კაპიტალის გაზრდა ან შემცირება	6,281	-	6,281
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი		577,323	577,323
გაცემული დივიდენდი		(12,632)	(12,632)
კორექცია		(77)	(77)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	36,281	785,445	821,725
საწესდებო კაპიტალის გაზრდა ან შემცირება	(33,281)		(33,281)
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი		516,527	516,527
გაცემული დივიდენდი		(206,826)	(206,826)
კორექცია		(135)	(135)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის	3,000	1,095,011	1,098,011

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 11 სექტემბერს:

5-14 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს „ედვანსდ აუდიტ ენდ ქონსალტინგ კომპანი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	2024	2023
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	527,647	561,097
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(8,050)	(15,333)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(240,242)	(6,427)
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	279,355	539,337
სავალუტო კურსის ეფექტი	3,651	732
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	937,334	397,265
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	1,220,340	937,334

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 11 სექტემბერს:

5-14 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს „ედვანსდ აუდიტ ენდ ქონსალტინგ კომპანი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს „ედვანსდ აუდიტ ენდ ქონსალტინგ კომპანი“ (402170226) (შემდგომში „კომპანია“) ოპერირებს 2020 წლის სექტემბრიდან, ოფიციალური იურიდიული მისამართია აღმაშენებლის გამზირი 61, ბიზნეს ცენტრი „მოზაიკა“, თბილისი, 0102, საქართველო. კომპანია საქმიანობს ბიზნეს პროცესების აუტსორსინგის მიმართულებით და დამკვეთებს მომსახურებებს სთავაზობს შემდეგი მიმართულებებით: ფინანსური აღრიცხვა, საგადასახადო აუდიტი, კორპორაციული ფინანსები, ადამიანური რესურსების ადმინისტრირება და მენეჯმენტი (HRM), იურიდიული მომსახურება, ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) მხარდაჭერა და რისკების კონსულტირება.

2. მომზადების საფუძველი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ შესაბამე კატეგორიის კომპანიებისთვის დაშვებული მოდიფიკაციის გათვალისწინებით. ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის	
	ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2024 წლის 31 დეკემბერი	2.8068	2.9306
2023 წლის 31 დეკემბერი	2.6894	2.9753

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ბანკებში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე) წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით. კომპანიას არ გააჩნია საექვო ვალები. საექვო და უიმედო ვალების რეზერვი არ არსებობს კომპანიაში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ კომპანია ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

მარაგები. კომპანიას არ გააჩნია სასაქონლო მარაგები.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი.

გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შემოსავლების აღიარება. შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

ღირებულებები. ღირებულებები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი ღირებულები, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის;
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში;
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყინულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში.

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში;
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის;
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში;

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ.
სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

შპს „ედვანსდ აუდიტ ენდ ქონსალტინგ კომპანი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

5. რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
შემოსავალი მომსახურებიდან	3,476,599	3,166,359
სხვა შემოსავალი	0	0
სულ	3,476,599	3,166,359

6. რეალიზაციის თვითღირებულება

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
შრომის ანაზღაურება	2,693,409	2,384,973
სხვა თვითღირებულების ხარჯი	13,666	16,363
სულ	2,707,075	2,401,336

7. დისტრიბუციის ხარჯები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
რეკლამის ხარჯი	3,323	3,766
იჯარის ხარჯი	91,852	77,803
სულ	95,175	81,569

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
დაზღვევის ხარჯი	75,043	59,250
კომპიუტერის ხარჯები	7,867	7,720
რემონტის ხარჯები	0	4,220
საკონსულტაციო ხარჯი	375	375
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	15,141	13,000
ბანკის საკომისიო ხარჯები	553	528
მივლინების ხარჯი	9,526	1,013
კომუნალური ხარჯები	16,841	16,711
საკანცელარიო ხარჯები	906	613
საკომუნიკაციო ხარჯები	5,838	4,053
გადასახადები და ჯარიმები	248	241
კორპორატიული ხარჯი	28,731	12,800
სხვა საგადასახადო ხარჯი	0	452
სხვადასხვა ადმინისტრაციული ხარჯები	9,370	9,564
სულ	170,439	130,540

9. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ფული სალაროში	59	0
ფული ბანკში	1,220,281	937,334
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	1,220,340	937,334

შპს „ედვანსდ აუდიტ ენდ ქონსალტინგ კომპანი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

10. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	213,863	171,180
სხვა დებიტორული დავალიანება	0	0
მთლიანი სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	213,863	171,180
მინუს: უიმედო თანხების დაშვება	0	0
სულ	213,863	171,180

შპს „ედვანსდ აუდიტ ენდ ქონსალთინგ კომპანი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
	სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	სავაჭრო დებიტორული დავალიანებები
ვადაგადაუცილებელი	213,863	171,180
0-დან 30 დღის ვადაგადაცილება	0	0
31-დან 60 დღემდე ვადაგადაცილებული	0	0
61-დან 90 დღემდე ვადაგადაცილებული	0	0
91 დღეზე მეტი ვადაგადაცილებული	0	0
სულ ვადაგადაცილებული და გაუფასურებული	213,863	171,180
უვადო მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	0	0
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	213,863	171,180

11. ძირითადი საშუალებები

ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	41,929	19,866	61,795
შეძენა	4,153	11,180	15,332
გასხვისება			-
ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	46,081	31,046	77,127
შეძენა	8,050		8,050
გასხვისება			
ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბერს	54,131	31,046	85,177
აკუმულირებული ცვეთა 2022 წლის 31 დეკემბერს	12,120	5,684	17,804
ცვეთის ხარჯი	8,679	4,321	13,000
ცვეთის ხარჯი გასხვისებიდან			-
აკუმულირებული ცვეთა 2023 წლის 31 დეკემბერს	20,798	10,005	30,803
ცვეთის ხარჯი	9,849	5,292	15,141
ცვეთის ხარჯი გასხვისებიდან			
აკუმულირებული ცვეთა 2024 წლის 31 დეკემბერს	30,648	15,296	45,944
			-
ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	25,283	21,042	46,324
			-
ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბერს	23,483	15,750	39,233

შპს „ედვანსდ აუდიტ ენდ ქონსალტინგ კომპანი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

12. სავაჭრო და სხვა საკრედიტო ვალდებულებები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	15,802	15,889
გადასახდელი ხელფასი	302,663	273,489
მიღებული ავანსები	0	4,918
სულ	318,446	294,295